

სიკვლევა

ISSN 0132-6015

12 - 84

საქართველოს
საბჭოთაო კავშირი



ნაბ. კ. ლომუაძე

ზოგჯერ დიდი ფული იხარჯება მეორეხარისხოვან საქმეებზე, ან ხმარდება იმას, რაც არ არის საჭირო.

კ. უ. ჩერნიშოვი

შიგნით. — აბლასი, გარეთ — ანი ათასი.

კანა! გუოფათ! შერეოთ!

ცილისწავაჲალ ანონისტს

გველი ხარ, სვრელში შემძვრალი,
იქიდან გვწამლავ შხამ-გესლით.
ჩამოგექცევა ზეცანი,
ერთხელაც გამომქლავნდები!

კვირფასი საჩუქრების მიღებას

მაინც მიღებით იღლები,
თუმც კარგად იცი ძალიან,
რომ საჩუქრების მიღებაც
გამოძალგავა, ქრთამია!..



ფულის შეგვარს

თუკი არ შეწყვეტ შეწერას,
ნუ გაქვს ნურაფრის იმედი! —
უბედურება გეწევა,
შეწერას შეეწირები!

ჭორიანას

ავეიას, ავზნეს, ავენას
არა გრცხვენია არაფრის!
შენი არავის არ სჯერა,
გითმენენ, მაგრამ სანამდის?!

ყველა ჯურის ანტიპოდს ერთად

მართალ სამართალს, იცოდეთ,
ვერ გაექცევით ვერც ერთი!
ნუ გაიმწარებთ სიცოცხლეს,
კმარა! გეყოფათ! შეჩერდით!..

ნიანგი

ვაი-რეპეტიტორს

„ღუნავ და ღუნავ მაყუთსა“,
გიჟის „პინგვინი“ ასამდე!..
რატომ ვერ ხვდები, საკუთარ
თავს რომ საცინედ ამზადებ?!

საკაულანტს

შენ მტაცებელი „ჩიტი“ ხარ
და ქორვაჭარსაც გეძახით!
იმ „გალიისკენ“ მიდიხარ,
სად აღრეც ბევრჯერ „შესახლდი“!



საკაულანტის კლიანტს

ის შენით აყვავებულა,
შენ მისით გზურავს, გაცვია...
როცა ხელს უცლი საკაულანტს,
ხელს უწყობ სპეკულაციას!

ურფუეო თოვას

ყველას ყველაფერს უწუნებ,
არ გინდა კარგის დანახვა,
სუყველაფერზე წუწუნებ,
შენ დასანდობი არა ხარ!

მდიდრული ნადივების

მოგწყობს

ხალხმრავალ სუფრას აქუხებ
შამპანურ-„კაეს“-„ოესით“!..
ეგ ნადიმები დაგლუპავს,
ამიტომ დროზე მოეშვი!

მეჩრთავს

ვერვინ გიშველის, ღმერთმანი, —
სიხარბე თუ არ მოთოკე,
მზეს დაგიბნელებს შენ ქრთამი
და გაგინათებს ჯოჯოხეთს!



ვაჭრობის სწავლა


ვაჭრობა მრავალნაირია: ნებადართული, აკრძალული, ღია, დახურული, სასაწყობო, დახლებო, დახლქვემო... ამასთან დაკავშირებით სპეკულანტობაც და სპეკულანტებიც სხვადასხვანაირი არიან: სპეკულანტი — დაწესებულებას მიჩვეული, სპეკულანტი — ქუჩის, მიწისქვეშა გადასასვლელის, კინოთეატრის, თეატრის, შინაური, გარეული, დაკვეთით მიმტანი და ა. შ. მაგრამ ისინი მასშტაბურობითა და დიაპაზონით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სოფლის, რაიონის ცენტრის, პატარა ქალაქის, დიდი ქალაქის, რესპუბლიკური მნიშვნელობის, საკავშირო მნიშვნელობის და ზოგჯერ მსოფლიო მნიშვნელობის სპეკულანტებსაც კი შეხვდებით! მთავარი მაინც მათთან შეხვედრის სურვილია და კიდევ უფრო მთავარი — სურვილის დაკმაყოფილების უეზარი საშუალება — ფული! ყოველივე ამას ახლო მომავალში მთელი გულისყურით დაეუბრუნდებით!

რამდენიც უნდა ვივაჭროთ, ვაჭრობა მაინც ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ურთულესი სფეროა, ურთულესია იგი ადამიანთა ხასიათებისა და კულტურის გამო. რამდენიც უნდა ვუსაყვედუროთ ვაჭრობის დარგის ხელმძღვანელებს სუსტი ან მოუქნელი მუშაობისათვის, ვაჭრობის დონეს, კანონების დაცვას, საერთოდ წესრიგს ვაჭრობაში მეტწილად განსაზღვრავს არა ამ დარგის ხელმძღვანელების, ან შემოწმებელი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები, არამედ საზოგადოებრივი აზრი, კულტურა, შინაგანი პატიოსნება და კეთილსინდისიერება!..

ვაჭრობა ის ურთიერთობაა, რომლის გარეშეც საზოგადოება წარმოუდგენელია. ერთი ყიდის, მეორე ყიდულობს ამა თუ იმ ნივთს ან — პირიქით. ეს ნივთი შეიძლება იყოს მსუბუქი ავტომანქანა (სასურველია ახალი), ორსართულიანი სახ-

ლი (სასურველია გარაჟიანი), ქურქი, იგივე „დუბლიონკა“ (სასურველია თავის ფასში), ცხელი ხინკალი (სასურველია ხორციანი) ან ლუდი (სასურველია სავსე კახა). აი, ეს არის ვაჭრობა! ერთი სიტყვით, თუ ვაჭრობა ურთიერთობაა, იგი ჭეშმარიტად ადამიანური ურთიერთობა უნდა იყოს. ურთიერთობა კი ჩვენი სიტყვა-პასუხია, ენა და თვალი, ლოცვა და წყევლა, სიყვარული და სიძულვილია!..

სპეციალისტები გვასწავლიან: ყოველი ათწუთიანი სიცილი სიცოცხლეს 2 საათით გვიხანგრძლივებსო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი სიცოცხლის გარკვეულ ნაწილს მოდური ტანსაცმლის, ხარისხიანი ფეხსაცმლის, კარგი შპალერის, სან-



ტექნიკის მოწყობილობის ძებნაში ვატარებთ და ზოგჯერ, სიმწრით ვიცინით კიდევ, დავრწმუნდებით, რომ სიცოცხლის გახანგრძლივების უამრავი რეზერვი გაგვაჩნია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ღიმილი თავშეკავებული, ზომიერი, არაუადგილო — კულტურაა, თავაზიანობა!

ახლა გავისხენოთ ერთი შემთხვევა: ჩელუსკინელების ქუჩაზე დახლი

გაემართა და ვაჭრობდა თბილმრეწვაჭრობის № 26 მაღაზიის გამყიდველი მ. ერემოვი, მაგრამ ვაჭრობდა იგი ყოველგვარი საბუთის, ნებართვის გარეშე!..

ეს კიდევ არაფერი! როდესაც თბილისის ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენელმა ამის გამო შენიშვნა მისცა, ღიმილს ვინ ჩივის, მ. ერემოვმა ისეთი ამბავი ატეხა, ისეთი სიტყვებით — მიმართა მოსაუბრეს, რომ გოცებულები დავრჩით. ახლა წარმოვიდგინოთ: ვთქვათ, წარმოიშვა მსგავსი ან სხვა კონფლიქტური სიტუაცია მყიდველსა და ისეთ გამყიდველს შორის, როგორცაა პირგამეხებულები მ. ერემოვი. ცხადია, კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ! განა შეიძლება აქ მომხმარებელთა კულტურულ მომსახურებაზე საუბარი?

ყოველივე ამის შემდეგ, კომერსანტის რა ღირსებებიც უნდა გააჩნდეს, რაგინდ კარგადაც ასრულებდეს სახელმწიფო გეგმებს, ასეთი გამყიდველის დახლოება მომხმარებელთა აბუჩად აგდებაა!

რაკი ქუჩაში ვაჭრობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ესეც გავისხენოთ: კინოთეატრ „ნაკადულის“ წინ, ოქტომბრის რაიონის ხილბოსტანვაჭრობის № 19 მაღაზიის გამყიდველი ომარ ზედელაშვილი სახაქონლო ფაქტურის გარეშე ყიდდა ვაშლს, ღიმონს, თაფლს, შავ ქლიავს იმ სასწორით, რომლის ცდომილება გამყიდველის სასარგებლოდ 50 გრამს შეადგენდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, სასწორის ცდომილება, თანაც ყოველთვის გამყიდველის სასარგებლოდ, ხილბოსტანვაჭრობის ქსელში უცხო ხილი არ უნდა იყოს. ასევე 50 გრამით „ცდებოდა“ ლენინის რაიონის ხილბოსტანვაჭრობის № 103 მაღაზიის სასწორი (გამყიდველი ვ. აფციაური).

ხოლო სასტუმრო „კოლხეთთან“ მთვრალი ამირიკიანი ყიდდა თაფლს, მიწის თხილს, სხვადასხვა სახის ტკბილეულს და, რაც მთავა-

რია, არც ერთ მათგანს ფასი არ ედო! ამირიკიანმა ძლივს გაგვაგებინა, რომ ის არის თბილკოვსკაძეობის № 6 მაღაზიის გამყიდველი, და ძალიან გაგვინაწყენდა იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიცნობდით მაღაზიის გამგეს — ვინმე „დავიდოვიჩს“!

გამყიდველს არ ჰგავდა ამირიკიანი, მაგრამ სიტყვა-პასუხი „ქარგი“ ჰქონდა. მაგალითად:

— რატომ არ ადევს ფასი გასასყიდ საქონელს? — ვეკითხებით ჩვენ.

პასუხი: „ფასები იყო, მაგრამ ქარმა წაიღო!“

მეორე შეკითხვა, თუ რატომ არ უდევს სასწორის ერთ მხარეს ქალაქი, ვეღარ მივეცით. ქარს ქალაქი კი არა, გირიც ხომ შეუძლია წაიღოს?!

ქუჩაში ვაჭრობას თავისი წესი და ადგილი აქვს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ქალაქის საბჭოს ნებართვით

ძელებულმა, რომელიც შორიდან აღგამდა თვალს საკბილო ნამცხვარს. მიწაზე ქალაქი გაეშალათ და ზედ ნამცხვარი დაეყარათ, მერედა რა ნამცხვარი! წყალი წურწურით გასდიოდა, ქარი მტვერს აყრიდა. გამყიდველი პაშა კაცობაშვილი შეკითხვაზე — რა ღირს? — ოღონდ ჩაფიქრდებოდა და ამორჩეული ნამცხვრის ფასს ყოველგვარი ზომა-წონის გარეშე ამბობდა, — ვინ გამოგაგზავნათ აქ, ვაჭრობის ნებართვა გაქვთ? — ვეკითხებით ჩვენ.

— მოსკოვის პროსპექტზე რომ კაფე „მოსკოვია“, იცით? — კითხვაზე კითხვას გვისვამს გამყიდველი პაშა. ჩვენ თანხმობის ნიშანს ვაძლევთ. — აი, იქ, იშხანა იკითხეთ და ის არის ჩემი უფროსი, ნებართვაც იმას აქვს!

თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენი სავაჭრო ქსელი ის აღარ არის, რაც იყო! ვაჭრობაში მოდიან ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებსაც მეტი პროფესიონალიზმი და კულტურა აქვთ! არის სავაჭრო ობიექტები, სადაც შესვლა ვესიამოვნებათ, ყველაფერს ფასი ადევს, იგრძნობა წესრიგი, თავზიანად გზვდებიან, თავზიანად გაცილებენ, შეიძლება გაგიღიმონ კიდევ, მაგრამ ყველგან ასეა?!

თბილტანსაცმელვაჭრობის № 18 მაღაზიაში ფაბრიკის მიერ ჩამოფასებული 15-მანეთიანი კაბები 25 მანეთად გაიყიდა! № 12 მაღაზიის საწყობში გადამალული აღმოჩნდა 1308 მანეთის დეფიციტური საქონელი, № 75 მაღაზიაში — 1208 მანეთის სწრაფსარეალიზაციო ქსოვილი..

თბილმრეწვაჭრობის № 24 მაღაზიაში მიმდინარე წლის მარტში მომხმარებელს 8 მანეთითა და 5 კაპიკით მეტი გადაახდევინეს, ხოლო № 145 მაღაზიის № 147 ფილიალში 614 მანეთის აღურიცხავი თავსაფრები და ცხვირსახოცები შეიტანეს სარეალიზაციოდ! თბილმრეწვაჭრობის გლდანის № 1 უნივერსალის (დირექტორი გ. მეფარიშვილი) საოჯახო საქონლის სექციაში (სექციის გამგე ა. აივაზაშვილი) ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე გამოფინათ სარეალიზაციოდ გატანილი ყოველად უვარგისი საღებავი — 38 ქილა. ეტიკეტები — დაფხრეწილი, თუნუქის ქილები — დაუანგული.

მოუნავდა საღებავი. ასევე უვარგისი იყო სარეალიზაციოდ სარეცხის 60%-ანი საპონი. ხოლო ამავე უნივერსალის ფენსაცმელების სექციაში (სექციის გამგე ა. სვანიძე; გამყიდველი თ. წოწკოლაძე) გამოფინათ ფენსაცმელებზე ან არ იყო მითითებული ზომა, ან 37 ზომის ადგილზე ეწყო 42, ხოლო 38-ის ადგილზე — 41 ზომის ფენსაცმელი. არავითარი ეჭვი არ გავაჩნია, თითქოს ზომების ამგვარი აღრევა ანგარებასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ამგვარი უყურადღებობა, დაუდევრობა, აბა რა მოსაწონია?

თბილფენსაცმელვაჭრობის № 6 მაღაზიაში 23 მან. და 90 კაპ. ღირებული ქალის ფენსაცმელი 26 მან. და 30 კაპიკად გაიყიდა. ხოლო № 34 მაღაზიაში ჩამოფასებულ 3-მანეთიან ფენსაცმელში მომხმარებელს 4 მანეთი გადაახდევინეს!

* * *

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს 1984 წლის 4 აპრილის ბრძანებით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდნენ თბილმრეწვაჭრობის დირექტორი ნ. სიგუა, თბილტანსაცმელვაჭრობის დირექტორი ე. ბუაძე, თბილფენსაცმელვაჭრობის დირექტორი ა. ბათიაშვილი, კალინინის რაისსაკვების ტრესტის დირექტორი მ. ხმელიძე, საქარხნო რაისსაკვების ტრესტის დირექტორი ლ. საყვარელიძე.

ვაჭრობის სამმართველოს სისტემის საზოგადოებრივი კვების ქსელში სხვადასხვა მაკონტროლებელი ირგანოების მიერ მარტო 1983 წელს



ხდება. ავტომობილებით ისედაც გადატვირთულ თბილისის ქუჩებს, სანაპიროებსა და მოედნებს კიდევ უფრო ხერგავენ და მოძრაობას საგრძნობლად აფერხებენ ქუჩაში მოვაჭრენი. ისინი სოკოებივით ამოდნიან ხიდის თავში, ხიდის ქვეშ, სანაპიროზე, რკინიგზის სადგურებთან თუ ავტოვაგზლებთან...

შაბათი დღე იყო. ქალაქგარეთ გასეირნება განვიზრახეთ, კურსი კახეთისაკენ ავიღეთ. ლოჭინის ახალ ხიდს რომ მივუახლოვდით, შორიდან გვე უამრავი მანქანა შევნიშნეთ. ავარია! — წამოვიცვივრეთ სამ ხმაში. ავარია კი არა, ნამცხვარი იყიდება! — გვითხრა ვიღაც კისერწაგრ-





გამოვლინდა 2460 დარღვევა. ეს იყო რეცეპტურისა და კალორიულობის, მენიუსა და კალკულაციის ნორმების დარღვევის, ოფიცინატების მიერ ანგარიშის გამოუწერლობისა და სხვა შემთხვევები. მაგრამ რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, ადგილი ჰქონდა ანგარიშში მოტყუების 464 (!) შემთხვევას. საზოგადოებრივი კვების რამდენიმე მუშაკის საქმე გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს, ხოლო 82 მუშაკი მოიხსნა თანამდებობიდან.

ყოველივე ამის შემდეგ ადამიანი იფიქრებდა, საზოგადოების სისტემაში ერთხანს მაინც სრული წესრიგი გვაქვს დამყარებულიო. მაგრამ...



საქარხნო რაიონის საზოგადოების ტრესტის № 296 გაერთიანების № 931 სასაღილოს ბუფეტში ტყავის პალტოში გამოწყობილი წარმოსადგეი ახალგაზრდა ფუსფუსებდა.

— ვინ არის ეგ კაცი? — კვითხეთ მებუფეტე სერგო ოგანეზოვი.
— ეს? არავინ! — გვიპასუხა სერგომ და საქმე განაგრძო. ტყავის პალტოიანმაც ისეთი სახე მიიღო, ვითომ მართლაც არავინ არა ვარო.

— თუ არავინ, მანდ რას აკეთებს?
— მე მეხმარება!
— შენ რაღას აკეთებ?
— მე მას ვეხმარები!
— ვის?
— ჩემ ძმას.
— შენი ძმა ვინლა?
ამ დროს ერთ-ერთი მაგიდიდან წამოდგა და ჩვენკენ გამოემართა ფელიქს ოგანეზოვი.

— ბოდიში, უფროსებო, „ბუფეტჩიკები“ ეგენი კი არ არიან, მე ვარ!
— მაშ ეგენი ვინ არიან?

— ეგ ჩემი ძმაა — სერგო, ეგ კიდევ — ჩემი ძმის ძმაცაცია, ეხმარებიან ერთმანეთს!...

* * *

თბილისის შემოსასვლელთან, კახეთის გზატკეცილზე, სოფელ სააკაძის გადასახვევთან, არის ცეკავშირის რესტორანი „ვაზიანი“.

ამ რესტორნის მესვეურთ (გამგე — სურენ ასლამაზოვი, მებუფეტე — სერგო პოლოსოვი) მესაქონლეობაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ვაზის მაღლსა და მის მოვლა-პატრონობაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. სამაგიეროდ „ზუსტად“ იციან ვაზის პროდუქტების სარფი და შემოსავალი.

მებუფეტე სერგო პოლოსოვი მომხმარებელს, ყოველგვარი ანგარიშის გარეშე, 36 (!!!) მანეთი გამოართვა.

ანგარიშის „დაზუსტება“ გამგე სურენ ასლამაზოვი ითავა. ასჯერ გაზომა, აწონა ასლამაზოვი დანახარჯი, მაგრამ ნახევარი კი არა, მესამედიც ვერ გამოიყვანა.

გთავაზობთ ანგარიშს, რომელსაც ს. პოლოსოვი გვკარნახობდა, ს. ასლამაზოვი ფასებს ადებდა და ჩვენ ვიწერდით:

1. ბატკნის ჩაქაფული — 2 (ფასი არა აქვს)
 2. ზუთხი — 1 (ფასი არა აქვს)
 3. მწვანილი — 1 — 1 მან.
 4. ზეთისხილი — 1 — 3 მან. (!)
 5. კიტრი და პამიდორი — 1 (ფასი არა აქვს)
 6. მინერალური წყალი „ძაუ“ — 2 ბოთლი — 1 მან.
 7. პური — 1 — 1 მან.
- ჯამი . . . 36 მან.

იქნებ თქვით, ეს როგორი ანგარიშიაო?

არ ვიცით, ვის როგორ მოსწონს, მაგრამ პოლოსოვი და ასლამაზოვი ალტაცებული არიან ამგვარი მათემატიკით!

ან იქნებ იკითხოთ, ჩაქაფულს ფასი რატომ არა აქვსო?

ამ კითხვაზე კი ასლამაზოვის სიტყვებით გიპასუხებთ: „ამ ფასების დაზუსტება არც შეიძლება და არც არის ლამაზი, ვინაიდან ხბო, ბატკა-

ნი არ გვაწვრია, მაგრამ მომხმარებელზე ზრუნვით ვმოულობთ, ვწვლობთ, გვინდა კლიენტი ვასიამოვნოთო“.

დასასრულ როგორ განვაზოგადოთ ეს ფაქტი?

რაც უნდა პრინციპული და უკომპრომისო იყოს სავაჭრო ორგანიზაციების ღონისძიებები, რესტორან „ვაზიანიში“ მოსიარულე საზოგადოება თუ თანახმაა ამგვარ მომსახურებასა და ანგარიშსწორებაზე, ამ ღონისძიებებიდან არაფერი გამოვა!


მაგრამ რატომ არის თანახმა? ვის ეხალისება 100-მანეთიანების ტყუილად გადაყრა?

სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებსთვისაც პრობლემა არა ფულის შოვნა, არამედ მისი დახარჯვა! აი, ასეთი ადამიანებისთვის ერთ-ერთი შესანიშნავი დაწესებულებაა სწორედ „ვაზიანი“. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან შამპანურების გაგზავნ-გამოგზავნაში, სუფრების გადახდაში, პირზე აკერიათ ხბო, ბატკანი, მზარეულს უთვლიან, ესა და ეს კაცი მოვედი, აბა, შენ იცი, როგორ მწვადსა და ჩაქაფულს გაამზადებო, მზარეული კი ჩვეულებრივ წვავს ბატკნის მწვადს და ტარხუნით აზავებს „ჩაქაფულს“!

დაბოლოს, დაფიქრდეთ: გვეცნო ყოველივე ეს? თვითონაც ხომ არ ვიქცევით ასე?

ზოგი ვიქცევით, ზოგი — არა! ვინც ვიქცევით, გვაამოს „ჩაქაფული“, და ვინც არა, ღმერთმა დაგვიფაროს!

**ნანა ჯაფანაუვილი,
ზურაბ ქაჯაია,
ჟანი სინარულიძე,
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტები**



ნახ. ა. ანდრეასი



— შეიღებო, გახსოვდეთ, ამით ღორიანობა არ დაემგავსო!

ნახ. ვ. კუთისი



— უკანასკნელად გაფრთხილებთ, ბოლოს და ბოლოს, ჩიხიდან ამოიღებთ თუ არა შარავის მოწონას!

ანატოლი ბარბაქაძე

იხანეხი

ნინო ვინოლიძე

ვეფლისაში ჩემი ბაბია სიტყვას ამბობდა შიშოდვალ საჭირის. ახლა მივლევდი რად ერისმე? — კბილი აღარ აქვს, რომ დამჭიროს.

საუბრალო კანონდარბაზი

ხაშორის ძილე ვაგებებს დადებს (ქინა ნაწილს). — სულ ერთია, მანერ ვინივს, წყლი სეზინარს?!

თხა და კომპოზიტორი

— აკოვებიო! — თხა კომპოზიტორს ერთხელ გატარა. კომპოზიტორმა გაუღმა და... უთვლიდ გაჩნდა.

მუსაშარის სავაძე

მუსაშარის სავაძე ებოძა კე (იწედა ღორში). ბევრი არაა პანაწილა, ბევრი ეფილა ჭრეო. და დინიწეს, როგორც იქნა, სადა? — სასწრაფოში!

ხსენიანობი ვაჟაფხაფხე

ერთხელ მუხამა და კრანამ იფქვის ღორზე ვაჯირი. თავილოს თვემ გაიარა, თაღლი არსად არიო.

— მიგზავდიო! — დედა უკრანამ, —

— შატერის სავაძე ცხვირო!

— მუნე კი არა, მე მიგზავდიო! —

— ზის პიკი და ტირის.

მშვიდი კაბით გათვინებ ხაშორის უკრანე ღორში? სხედეს ხედავნი იფრთხილი და ერთმანეთს უკრანე!

თარგმანი პარანევიძე

ცოცხელი ღახსარბი სიმღერა

ცამ მოთოვა დახეული ბილვები, ტრულვებებს "ოფოლო" გველ უკრანო... დიას, მაროლოვს ფორტაფ ფიტელუბო რეგლავა უკრანო.

უზრიაო დიდეს, პატარას, მათი შიშობა რომ არ არსებოს!... ცოცხელი გვერდითი მოსიროლებს, მხოლოდ მარტო მეზოგეთ აგზალათ ცეპო!

მოფრინავენ აბოლელების ფრინველები და სხედნან მეზოგების ცოცხლებს. დარღისაგან ვერის აშხობის, დილას აქეთ კითხვის ნიშნის დარღისაგან ხოცეს ერთი ღორის: ამ "ფრინველებს", დლოციკლებს, მესეფინება რად არა აქეთ ირავს!

როგორ შევინს ბილვებს "ფრინველები", ამ სოფაში გავლას მაროლოვ არ სურს!... ვინც ბილვებს ფრინველებს დადავცვის და გაფრინეს, ვეკლას გეგზარო!

უკვალ კანონდარბაზი

ბანუყრელი

იხმორისხა

ბანიყრელი უყვარდა და ოცენებოდა მასზე, თვალს მოჰკარავდა და საუბარი ველოს ტყვას უდებდა. ყურს, როგორ ჩიხირდა, ძალუმიად გვერდამ ოცენებობდა მასზე, მისი სილამაზე და მოხდენილობა ძილს უყარავდა!

სიყვარული, ძალს შენსაო! და ბოლოს, როგორც იქნა აიბრუნა საყვარელი.

უკვე დიდი ხანი გავიდა, რაც იგი მისი გახდა. არავის უნახავს ისინი ცალ-ცალკე. სულ ერთად არიან. პირველი სიცხარული ათალო განუღებულა, პირიქით! ბოლო ხანს უფრთხიანდელი ყოფნა წაბოლოდუნდოლი მძინე შევიდა სულ ერთად ნახავს! — ბანუყრელი, კინოში, თეატრში, ქალაქგარეთ სტინონობს დროს, ერთად დამკვიდრებულ სელოში, პიონერთა სასახლეში, შეგებო რებებზე, ლაშქრობებზე... მას გვერდებით უყვარს იგი, და ამას ამჟამად ხედავს ყველა, მეზობლები! "შეგებო რებებზე, ლაშქრობებზე" ამან გვერდებით მათ აჯანსაღებულ ხასიათებს, მას ხომ დაუდრომბოლი, მოუღუენებია, მამაკაცური ხასიათი აქვს. ხალხში ყოფნა უფრთხიანა იგი კი ცოცხელი და უყარება თუ არ შეუწყუნე, თინილდ სულად არ გაბოვდა არაფერს მოთხოვნის მას ვიწილი და დლოცტარება უყვარს. იგი კი სიბრძნობის სასეფლისივანს, როგორც წესს, საერთოდ თავს იკავებს ვერ იტანს ნასეამ კაცს.

და მანც ერთად არიან. უფრთხიანდელი ვერ ძლებენ. ოქნი, ბავშვები, მოყვრები, ნათესავები! — ყველგან უნდა იყოს, ყველგან პატივით უნდა სცეს!

სადამითი კი, უკვე საქმიად ვივან, დლოცელ-დაქან-ცულვები ბრუნდებიან შინ, ერთად ათევენ ღამეს: ის — თავის საბინდელ თათანს, იგი კი — გარბოში.

ღმრთა სულამა (ქ. ჭუთისი)

ნახ. ჯ. ლორთქიანი



— ამ ჩვენს ძველებს პატრონი არა ჰქავს, ამხელდა ერო-ში ერთი საპრომარილო მაგიდა როგორ არ უნდა იღგეს?! —

განცხადება

ბახუსის სახელობის № 276 სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეობა მიღებას მომავალი სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს თამაშებსა და თამაშის მომავლებებს საკმაოდ ფართო პროფესიონ (ქორწილი, ქე-ლეტი, ნათლობა, სახლის ხურვა, დახლებების დღე, ჭარბი გაცოლება, ღორის ადვოდა და სხვა).

სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზარუნველყოფილი იქნებიან უფასო სმით ყველა ხასის ჭურჭლიან (ტოლიზა, ადამის შუშა, ჩაში, ვაშა, ტაშტი, ვედრო, ტულუტი).

სწავლის პერიოდში ჩაითვლება ხმის უწყვეტ სტადე-ფრადღისენის უფლება ცდევითი, განაგრძონ სწავლა სა-ღამის დასწრებულ განყოფილებაზე და მიიღონ ხანკეტის თამაშის ცვალოფიკაცია.

გამოცემები ხარდება შემდეგ დისციპლინებში: 1. განსხვავებული (1-2 დღისტი ტვადლიზი) სახმისის სულმოთქმულად დალუცა (დასაყოფობის გავრეშე).

2. ძნელოდ დასაძლელი სახმისების დაცლა („მარიანი“, კამერის ყანწი, ტატი, ჭინჯილა).

3. მუსიკელებს უნდა წამოადაგინონ ცნობა ჯამწიო-ღორის მუსიკებზე, დახასიათება ზღმწარავალი სურფიდან, სხვა ფოტოგრაფიათა, ვადალდობის სიმარჯობის დროს (დღეობა) ფურთხების, ან ბოძე მარდნობის პოზოში.

გამოცემები დაიწყება გვიან შემოდგომაზე, მაგრიანობის დღეებში.

სასწავლოების აღმდინებრძინი

მერიონული
გინგლიოთიქა



— რა მოხდა, ცოტა ხანს არ უნდა მომცეთ დასვენების საშუალება?
— სწორედ მოსასვენებლად გეძახით!

„სომ მოგვუჭრა თაქი?“

ნოველა

დიდად გაამიხარდა ძველი მეგობრის სტუმრობა, მასთან ჭაბუკობის მრავალი წელი მაკავშირებს, ბევრთან მქონია პირადი კონტაქტები, მგრამ იგი მაინც გამოირჩეოდა ყველასაგან.

დავბინძურე თუ არა სასტუმროში, მაშინვე გადავწყვიტე მინ მიმეწვია სადილზე, გამეცნო ოჯახის წევრები, მოგვეგონებია წარსული და, ერთი სიტყვით, კი არ „მოგვეკლა საღამო“, არამედ სალინიანად, მეგობრულ, ინტიმურ ატმოსფეროში გავვეტარებინა იგი. დავშორდი თუ არა მეგობარს, სახლში ავიბრბინე და შეუღლეს გავაცანი ჩემი მოსაზრება.

— რა გაგანია სახლში?! სტუმრების მიღება ვიყვარს, მაგრამ მთო ვასასტუმრებულზე კი როდი ფიქრობ! — დაიჭუნა შეუღლემ და საჩისუბრად მოემზადა.

— როგორ თუ რა გაგანია?! ღვინო, ქათამი, ყველი, პურისა და შჭადის ფქვილი გვაქვს, კიტრს, პამიდორსა და სილს ბაზარში ვიყიდო, — მოკლედ მიუგე გავულისებულ ცოლს და შევეცადე მოვფერებოდი, რომ პურ-მარილი არ ჩამმწარებოდა.

— კი მაგრამ, გოჯის, თევზულის, სიზილალას, სუკის მწვადების გარეშე გინდა სტუმარს შეხედე და ოჯახს თავი მოჭრა?! — პოზიციებს არ თმობს გაკაპასებული დიასახლისი და წარბშეკრულად ვაღასწვდავს ოც წელს გადაცილებულ ვაჟებს, რომლებშიც უმაღ ვადაისხარნენ დედის მხარეზე და ერთ-ერთმა კიდევ მითხრა მორიდებით, თუმცა გარკვევით:

— მამა, მართლაც უხერხულია სტუმრის ასე უბრალოდ დასვენება,

რას იტყვის, დედაქალაქში რომ დაბრუნდება, ნუთუ ასე დანაწილებულან დასავლეთშიო.

ელდა მეცა. ნერეულობის გამო ზედიზედ ორი სივარტი მოვწიე და სამსახურისაკენ გავეშურე. საღამოს სტუმარს სამი ნაწილი-მეგობარი დაუუბატიე და რესტორანს მივაშურე. თევზული არც იქ აღმოჩნდა, სოლო ჩემი სელით დაწურულ ციფქასა და ცოლიკაურს განა შეედრებოდა სამარკო ღვინო, რომელიც ერთობ ამღვრული და თანაც მჭავე იყო? არც საჭაპური და შჭადი მქონდათ რესტორანში...

დიდი ანგარიშიანობა არ მიყვარს, მაგრამ ზეპირად დავაზუსტე: ორჯერ მეტი დამიჯდა სტუმრის მიღება რესტორანში, ვიდრე სახლში. მაგრამ თანხას არ დავუძებ, რომ რესტორანში ნორმალურად გავმასპინძლებოდი სტუმარს. ჯაზ-ორკესტრის კაკაფონიამ ყურთან-მენა წაიღო. ჩემმა ერთ-ერთმა თანამეგობარმა ოფიციალტის სელით ფულიც კი გაუგზავნა მუსიკოსებს, რომ გამაძლიერებლები გამოერთოთ.

მაგრამ რას იზამ, ოჯახს „თავს სომ არ მოვჭრიდი“? განა გამკილავდა მეგობარი, რომ ცოლის მიერ წარმოადგენილ მენიუს ერთი ან თუნდაც ორი ასორტიმენტი დაჰკლებოდა?!

გივი მუხისაშვილი
(ქ. ქუთაისი)

ბარათები ნიანგს

საქართველო
საბჭოთა კავშირი

მთის არც ერთი სოფელი არ იქნება ისე ჩამორჩენილი და კეთილმოწყობილი, როგორც გორის რაიონის სოფელი ქვანჯვრელია. სასოფლო კლუბი (თუ მას კლუბი შეიძლება ეწოდოს) რა ხანია არ მუშაობს. მიხი შენობა, ვითომ გაარემონტეს, სინამდვილეში კი სანახევროდ შეაკეთეს. ამიტომ აღარც კინოა ჩვენთვის და აღარც კონცერტი. მოკლედ, ჩვენთან კულტურულად ვართობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

სოფელში დაზიანებული და მწყობრიდან გამოსულია წყალგაყვანილობის მიწები, რის გამოც ატალანებულია გზები, დაღუპებული და დამუნჯებულია ასნომრიანი სატელეფონო სადგურები.

ყოველივე ამის გამო სოფლიდან ვარბიან ახალგაზრდები. რა ვქნათ, ვის მივართოთ დახმარებისთვის?

ძმარ ნიანგო! ონის რაიონის სოფელ ქაშქვის ახალგაზრდები გაწუნებთ: არც ჩვენ ვვაქვს კლუბი, შიბლიოთუკა (წიგნები ინახება სასურავან-მონგრეულ ბნელ, პატარა ოთახში), სოფელში დღემდე არაა გამოყვანილი რადიოსაზი. ადრე ვეკუბნა კლუბიც, შიბლიოთუკაც, მაგრამ ძველი შენობა დაინგრა, ახლოს აშენებამდე კი არავენ ფიქრობს. ზაფხულობით კინოფილმებს ღია ცის ქვეშ, პრიმიტიული წესით უჩვენებენ (თან ხალხი თავისი სკამით მოდის ფილმზე დასასწრებად!).

სოფელში დღემდე არ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. როგორ გავერთოთ თავისუფალ დროს?

ანაბა ვრთეთი მდიდარი და კეთილმოწყობილი სოფელია სიღნაღის რაიონში. ანაგულესს, პური და ღვინო, რომ იტყვიან, ყელამდე აქვთ, მაგრამ სულ ღვინოს რომ არ დალევენ? არადა, სასმელი წყალი სოფელში დეფიციტია. ამ ათიოდე წლის წინათ ვათარეს არხები, ჩაყარეს თხრილებში წყლის მილები და ჩვენს სისარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ეს სისარული ნადრევი აღმოჩნდა. წყლის გამოყვანას არა და არ დაადგა საშველი. სულ ორი წყაროა ახლომანლო, ზაფხულობით ერთი ძლივსაა მოწანწყარებს და ორი საათი უნდა იდგე რიგში ტურჭელი რომ შეავსო.

გვაქვს მეორე გასაჭირიც: გაზის ბალონებითაც არ ვვაპარავებენ რეგულარულად. არც გზა გვაქვს მაინცდამაინც სახარბიელო.

სანამდე უნდა ვიყოთ უწყლოდ, უგზოდ და უგაზოდ?

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის დასახლებაში სოხუმის სახლმშენებელმა კომბინატმა ააშენა სამი ცხრასართულიანი სახლი. სისარულით, სიმღერითა და სიცილ-კისკისით შევსანდით ახალ ბინებში, მაგრამ ვი ასეთ შესახლებას! ჯერ ერთი, მოუსწორებელი და მოუწესრიგებელი ეზოები, არაა გაკეთებული სახლამდე მისასვლელი გზები, ეზოები ანტისანიტარიის კერადაა გადაქცეული.. არ მუშაობს ლიფტი და მოსუცები წვლებით ადიან მაღალ სართულებზე, სშირად ირთვება ელექტროდენი და საღამოობით ბნელში ვსვდვართ. წყალიც იშვიათი სტუმარია ჩვენთან. გათობაზე რომ ლაპარაკიც ზედმეტია. ბინების ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

სახლმშენებელმა აგვიმუნეს საბავშვო ბაგაბაღი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ბავშვები გამოავისასლეს და გვიტარეს, ბაღის შენობა სარემონტოაო.

პატივცემულო ნიანგო! იქნებ შეასქნოთ აქაურ მშენებელ-მემონტაჟეებს ჩვენი გასაჭირი?

ქვირშასო ნიანგო! თუ ოდესმე ვანის რაიონში ჩამოვიდვ, ან რომელიმე შენი კორესპონდენტი გამოგზავნო, ნიკოლაიშვილების უბანშიც შემოიაროს პროფესორ სერგო ჩახუნაშვილის ქუჩაზე, ოდნოდ თან იქონიოს დოღბანდი, ბამბა და სხვადასხვა სახის მედიკამენტები, რათა თავის თავს სასწრაფო დახმარება თვითონვე აღმოუჩინოს. საქართველოს არც ერთ ქალაქსა და რაიონში არ არის ასეთი დანგრეული და მოუწესრიგებელი ქუჩა. იგი სავსეა ორმოებით, თხრილებით, ოღრონოლორებით, ტბებით, ტალანით...

შეასწენ, ძმარ ნიანგო, ვანელ გზის მშენებლებს, რომ ჩახუნაშვილის ქუჩასაც მიხედონ, ჩვენც ხალხნი ვართ და ჩვენც გვჭირდება ნორმალური გზა!

ამ ბარათს თბილისიდან, წყნეთის ქუჩის პირველი კორპუსიდან გწერთ: ზამთრობით გათბობის სისტემა ავარიულ მდგომარეობაშია და მილებიდან გამოვიწილა დააღობო კედლები, აივნები, ეზო ატალანებული, ანგრეული და გადათხრილია. ნავაი რომ ვააქვთ, ნახვარს იქვე პყრიან და აქურობა ანტისანიტარიის კერადაა გადაქცეული. ლიფტიც პერიოდულად მუშაობს. მის შესაკეთებლად მობინადრეებმა შევეკრიბეთ ფული (თითოეულმა 40-40 მანეთი), მაგრამ ისევ ისეთ მდგომარეობაშია. გადათხრილი, ოღრონოლოროიანი და ნავებით სავსე ქუჩა მუდამ ჩაბნელებულია... რა დავაშავვთ წყნეთის ქუჩაზე მცხოვრებლებმა, ძვირფასო ნიანგო, ყუარადლებას რომ არ გვაქაიან?



— ენკი-ბენკი-სიკლისა, გა-ვი-დაა!..



— ფულადი პრემიები ხომ მივანიჭეთ, ახლა ის დავადგინოთ, რისთვის მივეციტ!




— ეს რიგით სამუშაოზე არ გამოგვადგება, როგორც მაგისი მონაცემებიდან ჩანს, ამას მსხვილი საწარმოების განიავება ეხერხება!



პეკონოთ მეტიანი

ქართული
ბიბლიოთეკა



ქართული ხალხური იუმორი

— ყაისარ, თუ კაცი ხარ, სასწრაფოდ მჭირდება ორასი მანეთი, ერთი თვით უნდა მასესხო, თორემ ვილუბები და ეგ არის!

— სახლში არა მაქვს, ბესია, ორი საათის შემდეგ მოდი, გამოვიტან სალაროდან და წაიღე!

ბესია მესუთუ დღეს მივიდა.

— მე შენ ფულს ვერ გასესხებ! — ცივად უთხრა ყაისარმა.

— რატომ?!

— რატომ და წასაღებად არ მოხვედი დროზე და მოსატანად მოხვალ?

— ბებია, ვიპოვეთ შენი მეტრიკა! ასი წლისა ყოფილხარ! მაღარიჩი შენზეა! — უთხრეს მოხუცს, რომელიც ათი წლის განმავლობაში იძახდა, ორმოცდაათი წლისა ვარო.

— ვითომ ყალბი მეტრიკების გაცემას ას წელზე მეტი ხნის ისტორია არა აქვს? — წყენით იკითხა ბუბია.

— ოქრუა, ამ კაცს ხუთი კილოგრამი ოქრო რომ აღმოუჩინეს ოჯახში, ისევ იმ თანამდებობაზე როგორ გააჩერებს?

— მაგი ისეთი კაცი ჩანს, ჩემო ექვთიმე, ხუთ კილოგრამ ოქროზე არ გაჩერდებოდა!

— ვერ დავლევ, ბატონო თამადა, ინფარქტი მაქვს გადატანილი!

— დალიე, რაებს მიეღ-მოედები?! შენ ინფარქტი უკვე გადაგიტანია და მე აწი მაქვს გადასატანი!

— ცოლმა შემომჩვილა, ყურთან მგონი კოლო მიბზუისო. მოვუქნიე ხელი და დავაგდე ძირს.

— კოლო?

— არა, ცოლი...



ლაიკის ლაბადიან ინტრიგანს სოფლის ორღობეში ძაღლი გამოეწითო და ძაღლიან შეაშინა.

— ნუ გეშინია, — დამშვიდა ბატრონმა, — ძაღლი ძაღლის ტყავს არ დაწვეს!

ლაქტორი — სტუდენტს:

— „სკამი“ როგორ არის რუსულად?

— სტულ.

— „მაგიდა“?

— „სტოლ“.

— „დედა“ როგორღა არის?


— გმადლობთ, ახლა უკეთაა!

მასწავლებელი: — აბა, ვინ მიპასუხებს, რა შედის ბოსტნეულში?

— თუ კარები ღიაა, ვირიც შედის, მასწ!..

მონადირემ კურდღელი დაიჭირა. კურდღელი მამალი გამოდგა.

— დედალი რომ იყოს, მოვაშენებდი, აბა, ეს რა ჭირად მინდა? — და გაუშვა ისევ.



— ჭიჭიკია-ბატონო, ქუთაისელი რძალი მინდა, ლამაზი, პატიოსანი და კარგი დედამამიშვილი, განათლებული და შეძლებული! უნდა დამესმაროთ! — შეუხვეწა თბილისელი ნათესავი ჭიჭიკიას.

— ნამეტანი კაი, ბატონო, მოგიძებნით, მაგრამ სიძველე მაგნაირი რომ მოინდომონ, რა ვქნათ მაშინ?!

— ჭიჭიკია-ბატონო, როცა თბილისში წვიმს, ქუთაისში ქარიო, რომ ამბობენ, ვითომ მართალია მაგი?

— მაგი არ ვიცი და, როცა ქუთაისში ქარია, თბილისში ნამდვილად წვიმს!

პირველკლასელ ჟორია ერგემლიძეს მიმართავს მასწავლებელი:

— ერგემლიძე, ერთიდან ათამდე დათვალე!

ჟორიამ შეუფერხებლად დათვალა.

— ახლა შებრუნებით დათვალე!

ჟორიამ მასწავლებელს ზურგი შეაქცია და ისევ ერთიდან დაიწყო თვლა.

ჟორიამ ბაზარში ინდაური იყიდა და მანქანის საბარგულში ჩასვა, თვითონ ისევ ბაზარში შებრუნდა. ახლომასლოს მყოფმა მეგობარმა ჟორიას ინდაური თავისი მანქანის საბარგულში გადაიყვანა. ჟორია უცებ გაერკვა სიტუაციაში: მეგობრის მანქანასთან მივიდა და სტვენა დაიწყო. ინდაურიც ალოყლოყდა...


მეუღლე სამსახურში ურეკავს ჟორიას:

— დათომ კალამი გადაყლაბა და რა ვქნათ?!

— რა უნდა ვქნათ? სანამ ახალ კალამს მოვუტანდე, ფანქრით წეროს!

შეკრიბეს: რევაზ ოსუფაშვილმა, დალი და ამირან ჩუბინიძე-ებმა (ქ. თბილისი), ზვიად ჭიჭიკოშვილმა (რუსთავი), შუბა ოსუფაშვილმა, ლეილა ფეიქრიშვილმა, მანანა მენთეშაშვილმა, ზვიად გორგიაშვილმა, რუსუდან კუმატაძემ (საგარეჯოს რ-ნი), ალექსანდრე კრაველაძემ (სახსეროს რ-ნი), ლეილა ძიგრაშვილმა (ქ. ქუთაისი), მისეილ ჩახუნაშვილმა (ქ. ჭიათურა).

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასმა





პრეზიდენტობა

პოლიტიკური ფელატონი

ჩემსავით ბევრი ბავშვი თუ გყავთ და ფული ყოველთვის გიჭირთ, ალბათ, ცხოვრებაში მხოლოდ საზრუნავსა და დაღლილობას ხედავთ!

ის იყო, ბინის დალაგება დაიწყე, რომ კარზე ვილაკამ დააკაკუნა. ვიფიქრე, მორიგი უსიამოვნება იწყება-მეთქი. გავაღე და, მართლაც, ასე მოხდა — ვხედავ, შავკოსტიუმიანი მამაკაცი დგას. გულმა რეჩხი მიყო — შავკოსტიუმნიანი ხომ იმისთვის მოდიან, რომ უკანასკნელი ნივთები წაიღონ, ან მაცდური კითხვები მოგცენ. მერე ვხედავ, ანგარიში კი არა, ბანკის წიგნაკი უჭირავს ხელში.

— ნება მომეცით, შემოვიდე! — მეუბნება თავაზიანად, — შემოწმებაზე ვარ მისტერ რეიგანის დავალებით.

მისტერ რეიგანი დიდ თეთრ სახლში ცხოვრობს ჩვენი ქუჩის ბოლოს. ის არასდროს გვინახავს, მის სამფლობელოს მალალი კედელი აქვს გარშემო, შედის და გამოდის გრძელი და შავი ლიმუზინებით. იგი ძალიან მდიდარი ბიზნესმენია, თუმცა ხალხი ამბობს, ადრე მსახიობი იყო.

— საქმე იმაშია, — მიხსნის შავ კოსტიუმნიანი, — რომ მისტერ რეიგანი უკიდურესად შეშფოთებულია ჩვენს ქუჩაზე შექმნილი მდგომარეობით. მას არ სურს, აქ ცუდი ხალხი სახლობდეს და გონებას ურევდეს მის მეზობლებს.

— ეს ჩემი სახლია, — ვეუბნები ამაყად, — მე ყოველთვის აქ ვცხოვრობდი. თქვენ რა, მაიძულებთ, აქედან წავიდე?

— არა, არა, — ფიცხლად მიპასუხა შავკოსტიუმნიანმა, ჩემი შეავსო და გამომიწოდა, — ჩვენ სრული კმაყოფილებით შეგვიძლია გადმოგცეთ ეს ჩემი იმისათვის, რომ ბინაში უცხო პირების ჩასახლებას არ აპირებთ! ჰო, მართლა, სურსათის საქმე როგორ გაქვთ, გყოფნით?

— არა!
— მაშინ კიდევ უნდა მივუწერო ერთი ნული!.. მაგრამ ნება მიბოძეთ, ჯერ გკითხოთ, ეგ თვალი რატომ გაქვთ დალილავებული?

— ქმარმა მცემა. გუშინ საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, საჭმელი მომთხოვა, მე კი მივუგე, გირჩევნია, ჯერ რამე სამუშაო გამოიხატო-მეთქი!.. ეს ჩვეულებრივი ამბავია: ხომ უნდა მიეცა გამოსავალი გრძობებისათვის, უმუშევრობით დამცირებული კაცური ღირსებისათვის?!

— ო, ღმერთო! — აღმოხდა შავკოსტიუმნიანს, როცა ყოველივე მოისმინა. — ჩვენ კი აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ამ სახლში ადამიანის უფლებები ირღვევა! გამოდის, რომ დამატებითი ნული უნდა წავშალოთ!.. მოიცა, ხომ არ შეგიძლიათ გავვაცნოთ თქვენი მეუღლის პოლიტიკური შეხედულებები?

— ძველი კონსერვატორია ყველაფერში, თითქმის რეაქციონერი!..

— შესანიშნავია, დიდებულია! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისევ უნდა მივუწეროთ ნული... არა, უცბად ორ ნულს დაგიმატებთ! ნება მომეცით აგრეთვე, გამოვხატო ჩვენი კმაყოფილება იმით, რომ თქვენს სახლში წიგნებიც ჩვენს მისტერ რეიგანი უკიდურესად დაინტერესებულია, კრძალვების გნათლებულობის მალალი დონე შეინარჩუნოს ჩვენს ქუჩაზე!

მან რომელიღაც წიგნი აიღო ჩემი უფროსი ვაჟის საწოლიდან, გადაშალა და უცბად დაღუძლა, შემდეგ წყნარად, მაგრამ მტკიცედ მითხრა:

— დაბეჯითებით გთხოვთ, ამიხსნათ, როგორ მოხვდა თქვენს ბიბლიოთეკაში „მესამე სამყაროში შეიარაღებული ბრძოლის“ ეგზემპლარი?

— ჩემი ვაჟი კითხულობს, მას საერთოდ აინტერესებს სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფია და ისტორია, ამბობს ეს მენბარება, რომ საზოგადოებაში მდგომარეობა მოვიბოვოთ. მე კი არ ვკითხულობ საერთოდ.

— ეს ცუდი წიგნია! ეს ძალიან ცუდი წიგნია! მისტერ რეიგანი საშინლად განაწყენდება, როცა გაიგებს, რომ მას ჩვენს ქუჩაზე კითხულობენ! ის იმდენად განაწყენდება, რომ მიბრძანებს მოვსპო ეს ჩემი!

და მან ნაკუწებად აქცია ჩემი.
— უკანასკნელი კითხვა: რა დამოკიდებულება გაქვთ ნიკარაგუელების ოჯახთან, მეზობლად რომ ცხოვრობს?


— არაფერია ურთიერთობა არა მაქვს, არც ველაპარაკები. — შავკოსტიუმნიანი კაცი შეხტა, მაშინვე ახალი ჩემი გამოწერა გაცილებით დიდ თანხაზე. ჩემთან ერთად ლამაზი ბარათიც გადმომცა ტელეფონის ნომრებით და მითხრა, თუ მეზობლებთან მცირეოდენი უსიამოვნება მაინც მოგივათ, დარეკეთ, რეიგანი მაშინვე გამოგზავნის ხალხს და ისინი წუთში ყველაფერს მოაგვარებენ!

ვახეთ „ზარუბეუო“-ის მასალების მიხედვით
მოამზადა არდანილო არდაშენიამ



ნახ. გ. ლომიძისა

რეიგანის ადმინისტრაციის ეგრეთ წოდებული „ინიციატივა“ კიმიური იარაღის აკრძალვის საკითხში მიზნად ისახავს ამ სფეროში ნებისმიერი შეთანხმების შეფერხებას წინასწარ მიუღებელი პირობების წამოყენების გზით, მომწამვლელი ნივთიერებების ისედაც გიგანტურ არსენალების ზრდის ვაშინგტონისეული გეგმების შენელებას.



ვაშინგტონის ბერიკონი



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №12 (1670) ივნისი. გამომდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადღიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი). კაბუა ამირჯიბი, ნოზადი ბართაია, ბორის გურგული, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მაღაზონია (მხატვარ - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფივაძე, ნაფი ჯუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი მინეილ კუსალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 31. 5 84 წ. ხელმოწერილია დასაბუებლად 25. 6. 84 წ. ქალაქის ზომა 60 X 90/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააორიციზგო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კვ. ცვ. -ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 1199 უფ 00072 ტირაჟი 138.300. ჟურნალი გამომდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54 მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშავების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტისკი ჟურნალ «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улицы Ленина № 14.

ზანი 20 კაპიტი 05დმაცი 76137